№ 64
ხუთშაბათი, 24 მარტი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 64
ხუთშაბათი, 24 მარტი 1894
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

მელანია გიორგის ასული წილოსნისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ შაბათს, 26 მარტს, წლის წირვაზედ, რომელიც გადახდილ იქმნება **პოლკოვნიკი ნიკოლოოზ იოსების ძის წილოსნის** სულის მოსახსენებლად, ვერის იოანე მღვთის მეტყველის ეკკლესიაში, დილის ათ საათზე; წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება პანაშვიდი. (2—1058—1)

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისი, 24 მარტს

უკვე გამოირკვა ანგარიში ქართულის დრამატიული საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა. ამ ანგარიშისაგან სჩანს, რომ საზოგადოებას მთელს სეზონში 700 მან. ვალი დასდებია—ხარჯი შემოსავალზედ ამ 700 მანეთით მეტი ჰქონია. ჩვენ აქ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რად უნდა ყოფილიყო ეს ასე და რა მიზეზია, რომ შემოსავალმა ვერ დაჰფარა ხარჯი. ამ საქმეში, სხვა მიზეზთა შორის, რასაკვირველია, თვით დრამატიულს კომიტეტსაც არა მცირეოდენი ბრალი მიუძღვის იმ მხრივ, რომ იგი შესაფერად ვერ დახვდა თეატრში მოსიარულე საზოგადოების მოთხოვნილებას. ეს გარემოება ჩვენ უკვე რამდენჯერმე გვქონდა აღნიშნული და ახლა არას ვიტყვით, რადგან „წამხდარსა საქმეს რას არგებს მემრე და თითზედ კბენანი“? აქ ეხლა იმაშია საქმე, თუ რითი, რა საშუალებით შევსებულ იქმნას ეს 700 მან., რომელიც დრამატიულს საზოგადოებას ვალად დასდებია.

თვით საზოგადოების კომიტეტმა ამ ვალის დასაფარავად ორს კანონიერს გზას მიჰმართა. ჯერ პირველში სთხოვა ამ საზოგადოების წევრთ, რომელიც მხოლოდ სახელით წევრობენ და საწევრო ფული არ შეაქვთ,—ორის წლის საწევრო ფულის გადახდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ თხოვნამ არ გასჭრა. ჩვენში მაინც ეგრეა—თითქმის არც ერთს ქართულს საზოგადოებაში წევრები ფულს არ იხდიან.

კომიტეტმა, წევრებს რომ ვერა მოუხერხა-რა, ახლა სხვა ღონე იხმარა: სთხოვა ქველ-მოქმედთ, რომ დახმარება აღმოგვიჩინეთ ამ ფულის გადახდაშიო. მოსალოდნელი იყო, რომ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნებოდა, რადგან მართლაც ჩვენში ბევრია ისეთი, რომელიც რომ იტყვიან, „ჩიტის უკან აბაზს ისვრის“, უცხო-ქვეყნიდგან მოსულ მომღერალ ქალებსა და მემუსიკეებს ას თუმნობით აღევს ზედ და არაფრად გაუჭირდებოდა, თუ ერთს არა, რამდენსამეს ერთად მაინც 700 მანეთის გამოღება ამ სასარგებლო საქმისათვის. მაგრამ, მოგეხსენებათ, „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვს“, ამბობს ბრძნული ანდაზა.

არა ვგევართ ამ მხრივ ჩვენსავე თანამოძმე, ჩვენთან თითქმის ერთ ჭერ ქვეშ მცხოვრებს სომხებს. იმათ წარსულსავე სეზონში სათეატრო ვალი დაედოთ თითქმის რვაჯერ უფრო მეტი—5,500 მან., მაგრამ ამისათვის არც დიდი თხოვნა-მუდარი და განგაშის ცემა დასჭირებიათ და არც ქვეყნის შეყრა, რამდენმამე კაცმა ითავა ამ ვალის გადახდა თავისის კერძო შეძლებიდგან ჩუმად, ფარულად, ძალათი თავზედ მოუხვევლად.

რა თქმა უნდა, ეს დაკლებული ფული ასე თუ ისე შევსებული იქნება—გაზეთებიდგან უკვე ვუწყით, რომ პატივცემულ თავადის ჭავჭავაძის მეუღლეს დარიას მოუსურვებია ამ ფულის შესავსებლად თავისის მეთაურობით საქველ-მოქმედო წარმოდგენა გაჰმართოს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ წარმოდგენას დიდი საზოგადოება დაესწრება და ეს 700 მან. გადახდილი იქნება კიდეც. მაგრამ ზემოხსენებული ამბავი ისევ ამბადვე რჩება, ისეთ ამბად, რომელიც ღირს იმად, რომ ადამიანი ჩაუფიქრდეს და ჩაუკვირდეს.

ფ—ზი

ახალი ამბავი

⁂ ამა მიმდინარე წელს კავკასიის სააბრეშუმო სადგურში აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოშენების კურსები დაიწყება 15 აპრილიდგან და გასტანს 15 ივლისამდე. პრაქტიკული მუშაობა დაიწყება 15 აპრილს, ხოლო კურსის კითხვა-კი, დღესასწაულების გამო, 25 აპრილს.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში პარასკევს, 25 მარტს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, გამართული იქმნება სამეურნეო ბაასი.

⁂ ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ კავკასიის სააბრეშუმო სადგურს ნება-რთვა მოუვიდაო ცალკე გაზეთის გამოცემისა, რომლის პირველი ნომერი უკვე გამოსცა კიდეცაო. ეს ამბავი გაზ. „Нов. Обоз.“-მ გადაჰბეჭდა და თან დასძინა, რომ ამ სადგურს არავითარის გაზეთის დაბეჭდვის ნება-რთვა არ მოსვლია და არც არა დაუბეჭდიათ-რაო.

როგორც ეხლა შევიტყეთ, ჩვენს რეპორტერს მცირეოდენი შეცდომა მოსვლია, სააბრეშუმო სადგურს მთავრობისაგან ნება-რთვა მიუღია, მაგრამ არა გაზეთის გამოცემისა, არამედ ამ სადგურის შრომათა დამატებანისა. ეს დამატებანი მასალის შეკრებისათანავე დაიბეჭდება ხოლმე და შიგ მოთავსებულია ცნობები აბრეშუმის მოვლისა, თუთის ხის მოშენებისა, მაზანდაა დაბეჭდილი შიგ აბრეშუმისა და სხვა წვრილმანი ცნობები, ფრიად საყურადღებონი იმათთვის, ვინც აბრეშუმის ჭიისა და ფუტკარის მოშენებას მისდევს. ამ გამოცემას ეწოდება „Приложеніе къ Трудамъ Кавказской шелководственной станціи“. ჩვენ უკვე მივიღეთ ორი №-რი ამ გამოცემისა, ამ უკანასკნელს ორს კვირაში დაბეჭდილი.

⁂ სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ამ თვის 19-ს ღამე, ჩვენს სოფელში ერთი უბედურება მოხდა: გლეხს თევდორე მარჯანიძეს დუქანში უქეიფნია თავის ერთს მეგობართან. როცა კარგად შეზარხოშებულიყო, მედუქნისათვის პატარა ტიკჭორით ღვინო გამოურთმევინა, და შინ წასულიყო. ბნელი და ქარიანი ღამის გამო საბრალო თევდორემ ვერა გაიგო რა თურმე, წისქვილის

ფელეტონი

არჩევანი

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

(დასასრული *)

მაზრის უფროსის თანაშემწემ აუხსნა ყრილობას თვისი მოვალეობა, სინიდისიერ მოხელეთა არჩევის საჭიროება და სთხოვა, რომ კარგად დაფიქრებულიყვნენ, არავითარს ანგარიშს არ აჰყოლოდნენ და მარჯვე და მართალი კაცი აერჩიათ სოფლის მწყემსად და პატრონად. ამ დროს ივანემ გაარღვია ხალხი, წამოდგა წინ და ქუდ-მოხდილი შესდგა მაზრის უფროსის თანაშემწეს წინ. მისი ძალზედ დაღარული სახე, ჭაღარაშერთული თმა, მადლიანი, მაგრამ ნაღვლით სავსე თვალები, ერთის სიტყვით, ყოველი მისის სახის მოხაზულობა აშკარად ამტკიცებდა, რომ ბევრი ჭირ-ვარამი გამოევლო, მაგრამ გაჭირვებას მისი ზნეობრივი ძალღონე ვერ შეემუსრა, ივანეს კიდევ შეეძლო ეტარებინა სოფლის ერთგულის, ჭირში გაუტეხელის კაცის სახელი. ერთი შეხედვა საკმაო იყო, რომ ყოველი მისი სიტყვა ჭეშმარიტებად ჩაგეთვალა და თქმულის სხვა რამ საბუთით შემოწმება აზრადაც არ მოგსვლოდა. ამიტომაც მამასახლისს ფერი ეცვალა, როცა ივანე ყრილობის წინ დაინახა.

— ბატონო, ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენო, ის მათქმევინეთ თქვენის მუხლების ჭირიმე და მერე თუგინდ გამაციმბირეთ, მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა ივანემ.

— სთქვი, კაცო, რაც სათქმელი გაქვს, გაციმბირებას რაში გემართლებით, უთხრა მაზრის უფროსის თანაშემწემ.

— თქვენ ყველაფერი იცით, ბატონო, თქვენს საყურადღებოს მე რას მოვახერხებ (უფროსს პირი შეუცინდა), მაგრამ ვეცდები-კი რომ სიმართლე შეგატყობინოთ. ხელმწიფე იმპერატორმა გლეხ-კაცობას თავისუფლებასთან ერთად სოფლის მოხელეთა და მათ შორის მამასახლისის არჩევანის უფლებაც გვიბოძა. ჩვენც ვცდილობდით, რომ ამ თანამდებობისათვის სანდო კაცი შეგვერჩია. ჩვენი სოფელი მართლა რომ ბედნიერი იყო ამ მხრით. ჩვენი მამასახლისები თუ მაინცა და მაინც დიდი ფარი არ იყვნენ შევიწროებულის უმრავლესობისათვის, თვითონ მაინც არ დააბიჯებდნენ ფეხს ჩვენისთანა საწყალს კაცს და ვადის შემდეგ მამასახლისობას არ აფრინდებოდნენ, რადგანაც აქედგან არაფერს გამოელოდნენ, და ჩვენც სხვას ვირჩევდით, რომ ერთი კაცი არ დასაწყლებულიყო ამ უმადურს სამსახურში. ერთი ხანია მამასახლისობა ალბად გემრიელ ლუკმად გადაიქცა და თუ ერთხელ ჩაიგდო ის ხელში რომელმამე გაქნილმა კაცმა, უსიკვდილოდ აღარ ეყრება ამ ხელობას და, რომ ახალს არჩევანში გამარჯვებული გამოვიდეს, შემწეობასა სთხოვს თავადს, აზნაურს მღვდელს, სოფლის ვაჭრებს და ფულის პატრონებს; ერთის სიტყვით, სცდილობს ყველა ძალის მქონებელთა გული მოიგოს. ზოგი საყანე ადგილების და იალაღის მოკვეთით აშინებს ხალხს, ზოგი თამასუქ-პირობათა ძალით და „ნეუსტოკით“, ზოგი რით და ზოგი რით; სოფელიც სტყდება და არჩევანებში სოფლის ბობოლა კაცი გამოდის გამარჯვებული. ამ გვარად ხელმწიფისაგან ბოძებული უფლება ჩვენ ჩამოგვართვეს ჩვენისავე ოფლით გაქსუებულმა ვაჭარ-ჩარჩებმა და ძალის პატრონებმა. აი დღესაც ჩვენ ისეთი მამასახლისი გვყავს, რომელიც ყოველთვის სოფლის-ჭამია კაცებს უმართავს ხელს და ჩვენისთანა ბეჩავს-კი ერთს ჭიქა არაყში გაჰყიდის. რაც ამას შევიწროება და უსამართლობა სოფლისათვის მიუყენებია, იმის ჩამოსათვლელად ერთი დღე ცოტა იქნება და ვერც თქვენ შეგაწუხებთ ბევრის ლაპარაკით. ამის მამასახლისობას რომ ცოტაოდენი სიკეთე მოეტანა ჩვენთვის, განა სოფელს შეუნიშნავი დარჩებოდა მისი კეთილ-კაცობა? რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, რომ ამის გამოცვლას მოვინდომებდით? თავის მტერი ვინ არის? არა, ბატონო, ეს კაცი მთელს სოფელს ეჯავრება, ეს თითონაც კარგად იცის და თუ მაინც არ ეყრება ამ თანამდებობას, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ სოფელი საკრეჭფარად წარმოუდგენია და არ უნდა ამ გემრიელს ლუკმას შეელიოს. რაც მე მოგახსენეთ, ამას იტყოდა თვით ძველი მამასახლისის მომხრე დასის უმრავლესობა, რომ პირში ბურთს არ უდებდნენ ზევით დასახელებულნი სოფლის ძლიერნი და თუ თქვენ ამ ძალმომრეობიდგან დაგვიფარავთ და ხელმწიფისაგან ბოძებულს უფლებას შეგვარჩენთ, დიდს სამსახურს გაუწევთ ჩვენს დაქვეითებულს საზოგადოებას, თუ არა-და, აქედგან უნდა გადავსახლდეთ სადმე.

ივანეს აზრიანმა ლაპარაკმა დააფიქრა ყრილობა, გულის სიღრმიდგან ამოდენილმა სიმართლემ შეაკრთო ძველის მამასახლისის მომხრენიც-კი და მხოლოდ ამ სიტყვებმა გზა ვერ გაიქნეს იმ ვაჟბატონების გულისაკენ, რომელთა გული და თავიც საკმაოდ გაებრუებინა მამასახლისის არაყს. ამათ ივანეს ლაპარაკში რამდენჯერმე დაიძახეს „სტყუის, სტყუისო“! და როცა ივანემ სიტყვა დაასრულა, მამასახლისს თვალით ანიშნებდნენ: გვიბრძანე როდის დავიწყოთ მოქმედებაო. ყრილობის გამგემ სთხოვა, ვისაც მამასახლისის არჩევანში ხმა არ ჰქონდა, მოჰშორებოდნენ ყრილობას და ისინიც გავიდნენ ცალკე. მაზრის უფროსის თანაშემწეს წინ იდგა მხოლოდ გლეხ-კაცობა. „ჯერ მინდა გავიგო, რამდენად საბუთიანი არის ძველს მამასახლისზე შეტანილი საჩივარი და ვისაც არზაზედ ხელი გიწერიათ, აქეთ დადექით“, სთქვა უფროსმა და ხელით მარჯვენა მხარე ანიშნა. სოფლელები ისე შეეპყრო საარჩევანო ციებ-ცხელებას, ისე იყ-

---

*) იხ. „ივერია“, № 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის ხევში გადავარდა და დაირჩო. მეორე დღეს დილით საბრალო თევდორე ძმებმა წისქვილის წყალში იპოვნეს გაშეშებული. თევდორე მარჯანიძეს დარჩა უნუგეშოდ ცოლი და ორი პატარა შვილი.

⁂ 19 მარტს პოლიციის მეათე ნაწილში მათე ეჯუმოვის სახლთან ხუთის დღის დაბადებული ბავშვი იპოვნეს. ბავშვს ბარათი ჰქონდა რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მოუნათლავიაო. ბავშვი ეჯუმოვმა თითონვე აიყვანა აღსაზრდელად.

⁂ 21 მარტს იარმუკის ქუჩაზედ მანგლისის მცხოვრებელმა ეკატერინე ლიხმანმა თავის მოკვლა განიზრახა და მაგარი სპირტი დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს და მორჩენის იმედი აქვთ.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ „ივერიის“ № 63 მეთაურში შეცდომით დაბეჭდილია „დამაკლისთვალი“ უნდა იყოს „დამკლისუფალი“ რაიცა ნიშნავს დაზარალებულ მხარეს. აგრეთვე ფული გამოგზავნილი იყო 1-ლი და არა მეორე განყოფილებიდგან, სადაც მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ არის ჩერნოგუბოვი და არა ლეზინგევიჩი.

ნაწყვეტები

მოვა დრო გაზაფხულისა
გაიშლებიან იანი,
ავა მთაზე და დაჰკრეფავს
ქალამზე გიშრის თმიანი,
ჩაიწყობს ძუძუ-კოკბებთან,
იმღერებს ტკბილი ხმიანი,
იქ მოიგონებს საყვარელს,
ცრემლს დაჰღვრის სახე-მზიანი.

კორესპონდენცია

ქვემო-რაჭა, 16 მარტი. ქვემო-რაჭაში წელს წინანდელივით დიდი ზამთარი არ იყო; თოვლი არ მოსულა იმდენად შუა თებერვლამდე, მაშინ-კი საკმაოდ ჩამოჰყარა თოვლი, თითქმის ერთ ადლ-ნახევრამდე მოვიდა. დადგა მარტი და მოჰყვა საშინელი თოვლ-ჭყაპი და მეტად ცივი ტაროსები დაგვიდგა; ამ თვეში მოწმენდილი ცა არ გვინახავს. ჭინახული ძვირი არის: კოდი სიმინდი ანუ პური ორ მანეთ ნახევრამდე ჰფასობს; ღვინო კარგი ძვირად იშოვება, უმეტეს ნაწილად შეხვდებით თხელს და მჟავე ღვინოს და ისიც კასრი (ორი ჩაფია) ოთხ მანეთად იყიდება; ლობიოს ხომ სულ ვერსად ნახავ და თუ იშოვე სადმე, ისიც ნაოთხალი ანუ ერთი ბათმანი შვიდ აბაზად არის. თუმცა აქედგან ოქტომბრიდგანვე წასულია ხალხი სამუშაოდ სხვა-და-სხვა მხარეს, მაგრამ დანარჩენებში ბევრს უჭირს გამოკვება. საქონლის საკვებს ვერსად ჰშოულობს ხალხი, რის გამოც აქაურმა მკვიდრმა უმეტეს ნაწილად დაჰყიდა შინაური საქონელი და ვისაც-კი ცოტა შეძლება ჰქონდა, გააბარა ოსეთში მთელს ზამთარს გამოსაკვებად.

ამ ზამთარში „ინფლუენციამაც“ არ დაგვტოვა უნახავი. ერთი თვეა, რაც გაჩნდა სოფლებში, და მრავალი იმსხვერპლა. ზოგიერთის ოჯახიდგან ორ-ორიც გაისტუმრა საიქიოსკენ.—თუმცა აფთიაქი არის ს. ამბროლაურში და მეაფთიაქე ა. მაჭარაძე არ ზარობს ავადმყოფებთან დარიგების მისაცემად მისვლას, მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ აქ უფრო ერწმუნება და პატივს სცემს სოფლის მატყუარა მკითხავებს, მაგალითად სოფ. ზნაკვაში იმყოფება ერთი მკითხავთაგანი, ვიღაც ალექსი უთმელიძე, რომლის ამბავი შორს არის განთქმული. გახდება თუ არა ვინმე ავად, ავადმყოფის პატრონი მაშინვე მიეშურება იმასთან, მიაქვს სხვა-და-სხვა ფეშქაში და თან სამკითხაო ფულიც. შემდეგ დამშვიდებული ჰბრუნდება იმისის ნაწინასწარმეტყველევით. ხშირად მიართმევენ ცხენს და მოჰყავთ სახლში ავადმყოფის სანახავად. არიგებს ხოლმე საწყალს გლეხს, რომ არ მიაკაროს ავადმყოფს აფთიაქის წამალი, მე დავუმზადებ შელოცვილს წამლებს და ის მალე მოუღებს ბოლოს მაგ სენსაო. მაგრამ უფრო მალე ავადმყოფს უღებს ბოლოს და ასალმებს წუთისოფელს მის მიერ მიცემული უსარგებლო ბალახების წვენი. ამ გვარად სძარცვავს და ატყუებს საწყალ ხალხს. ვინ არის პატრონი, რომ მიაქციოს ყურადღება ამ უსამართლობას!..

არ იქნება ურიგო, რომ ამ სოფლის სასწავლებლის მასწავლებელმა მაინც მიაქციოს ამას ყურადღება, თუ სხვები ბაიბურში არ იგდებენ.

ეს ორი წელია, რაც ზოგიერთ აქაურ სოფლებში სასწავლებელსაც მიაქციეს ყურადღება; უწინ თუ 25, 20 და ხშირად 15 მოსწავლე იყო, დღეს შეხვდებით უმეტეს ნაწილად 70, 60 და არა ნაკლებ 40-ისა. მაგალითად, ს. ხოტევის სასწავლებელში სწავლობს დღეს 75 მოსწავლე; მეტიც იქმნებოდა, რომ ადგილი იყოს და შენობაც გვივარგოდეს, მაგრამ, საუბედუროდ, შენობა უვარგისია და გადაკეთებას თხოულობს. ხოტევის საზოგადოებას შემოუერთდა ნიქორწმინდის საზოგადოება, ორივესგან შესდგა ათასი კომლი მცხოვრებლებისა, ამისათვის აქაური მამასახლისი ძლიერ მონდომებული არის ააგებინოს ორსავე საზოგადოებას ერთად შუა ადგილზედ შენობა ორ-კლასიანის სასწავლებლისათვის და თან დაადგენიოს ხალხს განაჩენით ორ მასწავლებლისთვის რიგიანი ჯამაგირი. ღმერთმა ჰქმნას, ეს კეთილი აზრი განხორციელებულიყოს და სხვა საზოგადოების მამასახლისებმაც წაჰბაძონ მას და იზრუნონ თავისის საზოგადოების განათლებისა და კეთილდღეობისათვის.

ვ. ნ.

ქუთაისი. ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაასრულა განხილვა და დამტკიცება ქალაქის ამ მდგომარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვისა. ჭეშმარიტად შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა საბჭოს უკანასკნელი სხდომები. ხმოსნები, რომელთაც ამ მოკლე ხანში უთავდებათ ვადა სამსახურისა, ისე შეესივნენ ქალაქის ღარიბს ქისას, როგორც მტერი შეესევა უპატრონოდ დაშთენილს ოჯახსა. ქალაქის წარმომადგენელნი თითქო იმაზედ იყვნენ მონდომილნი, რომ გაეპუნტრუქებინათ ქალაქის მცირე შეძლება, რაც შეიძლება მეტი გაეცათ ქალაქის ფული, რომ ნაკლები დარჩენოდა მათ ანაბარად დარჩენილს ქალაქსა. მოუმატეს ჯამაგირი ქალაქის თავს, გამგეობის წევრებს, აგენტს, ტყის-მცველს, „ბაზარნიკს“ და სხვა მოსამსახურეებს. ქალაქის თავს, ნაცვლად სამი ათასი მანეთისა, დაუნიშნეს ოთხი ათასი. ამ გვარადვე სხვებსაც, ისე რომ გამგეობის „სტოროჟს“, რომელსაც დღემდე წელიწადში სამასი მანეთი ეძლეოდა, ასი მანეთი მოუმატეს წელიწადში, ვითომ რაო და ქუთაისში „სტოროჟისათვის“ თვეში ოცდა-ხუთი მანეთი საკმაო ჯამაგირი არ არისო. თითქო ქალაქს რაიმე დაფლული განძი ეპოვნოს და ხმოსნები მოწვეულნი ყოფილიყვნენ მის გასანაწილებლად.

ყველა მოხელეს თავის კეთილისმყოფელი გამოუჩნდა საბჭოში, ხოლო მცირედ იყვნენ ქალაქისათვის კეთილის-მყოფელნი! ერთი რომ ქალაქის თავისათვის თხოულობდა ჯამაგირის მომატებას, მეორე გამგეობის წევრებს ექომაგებოდა, მესამეს კიდევ სხვა უფრო წვრილმან მოსამსახურეების ხათრი ჰქონდა. ისინი, ვინც თავის საკუთარს საქმეებში ძუნწნი არიან, ქალაქის ფულით იჩენდნენ გულ-უხვობას. რამ გამოიწვია ამ გვარი გულ-უხვობა საბჭოსი? იქნება ქალაქი მართლა მდიდარი იყოს და შეეძლოს ბევრის გაცემა. არა, ქალაქი გაჭირვებულს მდგომარეობაშია, ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საბჭომ საჭიროდ დაინახა, შემოეღო ისეთი ახალი გარდასახადებიც-კი, რომელიც აწვება თავზედ მცხოვრებლების პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელს საგნებს და დიდად ავიწროებს მცხოვრებლებს. ამიერიდგან ყოველმა გლეხმა, რომელიც-კი ქალაქში ურმით ან ცხენით რაიმე გასასყიდს შემოიტანს, ან რაიმე საქონელს შემოიყვანს, ხარკი უნდა უხადოს ქალაქს. იქნება გლეხმა, უკიდურესს გაჭირვებამდე მიღწეულმა, თავის მრჩენელი ხარები, ან ერთად-ერთი თავისი ძროხა შემოიყვანოს ქალაქში გასასყიდლად, ან იქიქნება ორი ბათმანი ფქვილი შემოიტანოს ქალაქში ცხენით გასასაღებლად, ამას ყოველივეს ქალაქმა გადასახადი დაადო. უბრალო ხბო რა არის, იმასაც-კი ვერ შემოიყვანს ქალაქში გლეხი, რომ ქალაქის გარდასახადი წინ არ დახვდეს. ქალაქის და პოლიციის მოხელეები ხვდებიან სოფლის კაცებს გზაზედ, აკავებენ, მიჰყავთ ქალაქის ადგილზე, რომ იქ ბაჟი გადაახდევინონ. გლეხები გარბიან, იწყევლებიან, იგინებიან, იმუქრებიან, ქალაქში გასასყიდს აღარაფერს ჩამოვიტანთო. კამეჩის ურემზედ ორი შაურია დადებული გადასახადი, აჩეჩა ურემზე, შაური, გასასყიდ ძროხაზე, გაიყიდება თუ არა, სულ ერთია, ექვსი შაური, სხვა ოთხ-ფეხზე კიდევ სხვა.

სჩანს, დიდათ უჭირდა ქალაქს, თუ ამისთანა შემავიწროებელის გარდასახადის შემოღებაც-კი საჭიროდ დაინახა მით უფრო, რომ ამ გვარი გარდასახადი პირდაპირ კანონის წინაალმდეგიც არის.

რადგან ქალაქს დასაბაჟავ გლეხების დასაყენებლათ ორი ადგილი აქვს, ერთი რიონის მარცხენა მხარეზედ და მეორე მარჯვენა მხარეზედ, ამიტომ ორივე მხარე სცდილობს, რომ დასაბაჟავი გლეხები თავის მოედანზედ მირეკოს, საცოდავებს ხან აქეთ მიერეკებიან, ხან იქით. გუშინ-წინ, 18 მარტს, რიონის მარცხენა მხრით მცხოვრებ ხმოსნებს წაეყვანათ თან ქალაქის თავი და პოლიცმეისტერი, გაჩერებულიყვენ ორპირის ქუჩაზედ, აჩერებდნენ სოფლიდან მომავალს გლეხებს და მიერეკებოდნენ თავის უბანში; გაღმართელნი-კი წინააღმდეგნი იყვენ და მეორე ადგილს უხვდებოდენ გლეხებს. ასე ეგონებოდა კაცს, დიდ-ორშაბათის ყეინი გამოსულა თა-

---

ვნენ ამით გატაცებულნი, რომ კარგად არც-კი გაუგიათ მოხელის ნათქვამი და როცა უკანასკნელმა ერთი ხელი მარჯვნით გააქანა, მთელი დამსწრე საზოგადოება ელვის სისწრაფით ორ ბანაკად გაიყო: მარჯვნით მიდგენ ახალის მამასახლისისა და მარცხნით ძველის მომხრენი. რამდენიმე შემკრთალი სოფლელი შუაზედ იდგა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს ორსავე მხარეს. ესენი სცდილობდნენ რიცხვით გამოეცნოთ, თუ რომელს მხარეს მოელოდა გამარჯვება და ვერც მარცხნით წასულიყვნენ და ვერც მარჯვნით. ალბად ანგარიშობდნენ: მარცხნით წავიდეთ, ეს ხომ სოფლის ღალატია, მარჯვნით წავიდეთ და ვაი, რომ ძველი მამასახლისი გამარჯვებული დარჩეს, მაშინ კაი დღე არ დაუდგება ჩვენს ცოლსა და შვილს, გაგვანადგურებს თავ-გასული მამასახლისი; რად მიემხრენით ჩემს მოწინააღმდეგებსაო.

ესენი რომ ამ ყოყმანში იყვნენ, მემარცხნე დასიდგან გამოვიდა რამდენიმე კაცი, სტაცეს ხელი გაუბედავს გლეხებს და თავის წრისაკენ გააქანეს. შუა გზაზედ ამათ წამოეწია ივანე მარდაძე, ტყვედ ჩავარდნილი ხმოსნები განათავისუფლა და ძველის მამასახლისის მომხრენი თავის ღონიერის მკლავებით მარცხენა წრისკენ გაისროლა ამ სიტყვებით: „ძალით კაცის დაჭერა ჩვენ კანონში არ გვიწერია. ამათ თავის ფეხით შეუძლიანთ მისვლა იქ, საითკენაც გული ეპატიჟებაო“. ივანეს ორი ბიჯიც არ ექნებოდა წადგმული, როცა უკანიდგან გაშლით მოხვდა კისერში ერთის ზევით დასახელებულის ზარხოშა ვაჟბატონის ხელი. ივანემ პასუხი მისცა მუშტით, წუთში ორთავეს ქომაგები გაჩნდნენ აქ და თვალის დახამხამებაში საშინელის ძალით დაეჯახა ერთმანეთს ორი დასი. სოფლელებს დაავიწყდათ, რომ თავის კარის მეზობელთან, მათთან ერთს მძიმე უღელში შებმულს ძმასთან ჰქონდათ საქმე. ერთს ბედს ქვეშ მყოფთ, ჭირის და ლხინის მოზიარე ძმათა შორის შავმა კატამ გაიარა ესენი ეხლა მოპირდაპირეს ნამდვილს მტრად ჰხედავდნენ და არა მათთან ერთს ტაფაში მოქცეულს, მასავით მოქანცულ თანამოძმეს.

გაჩნდა გაბოროტებული ბრძოლა, ცხვირ-პირის მტვრევა; გონიერება დროებით მიდგა და ჯოხმა და მუშტმა დაიჭირა მისი ადგილი. ისინი, ვინც ღვიძლი ძმები ერთმანეთს შეახეთქა, განზედ გადგნენ და შორიდგან სეირს უყურებდნენ. სინამდვილის დასაცველად უნდა ვსთქვა, რომ ჩხუბში ყველა არ იღებდა მონაწილეობას, ზოგი გაშველებასაც სცდილობდა, მაგრამ არც ისე ადვილი იყო გალახულთა ნათესავების შეკავება. ყრილობის გამგე ამაოდ სცდილობდა წესიერების აღდგენას. ასეთმა საზარელმა მდგომარეობამ რამდენსამე წამს გასტანა. აგერ გაავთრებულმა სოფლელებმა დაითრიეს ერთმანეთი ფერდობზედ საშინელის ცემა-ტყეპით და მოპირდაპირენი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

— შე ულმერთოვ, ერთის ჭიქა არაყის გულისათვის მომკალი? მოისმა ფერდობიდგან.

ეს ხმა ყველამ იცნო. ეს ის ხმა იყო, რომლის ჩაწყვეტა დიდად აზარალებდა სოფლის პირიანობას, ნამუსიანობას და ბერავების ნაამაგარზედ ლხინს გაუმართავდა სოფლის ორგულთ. ყველას გულმა რაღაც საშინელი დაღონება იგრძნო. ამ ხმამ თითქოს გონება დაუბრუნა მოჩხუბართ, რომელთაც ვერ წარმოედგინათ, თუ ასეთს მსხვერპლს შეიწირავდა მათი წინდაუხედაობა, და ერთს წუთს შესწყვიტეს ბრძოლა. ამ სიჩუმით ისარგებლა უფროსმა.

— რას შვრებით უგუნურნო? ღვიძლი ძმები ერთმანეთსა ჰკლეტთ? ურჯულოსთან ხომ არა გაქვთ საქმე? მერე იცით რა მძიმე სასჯელი მოჰყვება თქვენს ეხლანდელს საქციელს? შესძახა მან და გაჰქანდა იქით, საიდგანაც მომაკვდავი ივანეს ხმა ისმოდა.

თავ-გატეხილი ივანე ეგდო ტალახში და ცალი ხელი ჭრილობაზედ ედო, ვითომ-და სისხლის შესაკავებლად. მოხელე გაფითრდა ივანეს დანახვაზედ, მზრუნველობით ევლებოდა თავს და შეწუხებულის ხმით სთხოვდა დაესახელებინა ამის ჩამდენი.

— თავი დაანებეთ, თქვენის მოხლების ჭირიმე, ჩემის ცოლშვილის საცოდაობა დასდებს მსჯავრს, ვინც ამ ყოფაში ჩამაგდო კვნესით წარმოსთქვა ივანემ და ცრემლ-მორეული თვალები უფროს მიაპყრო.

მაზრის უფროსის თანაშემწეს წარმოუდგა ზნეობრივი სიფაქიზე, სულის სიმაღლე ივანე მარდაძისა, რომელიც სიკვდილის პირად მიწურულიყო და მაინც არ უნდოდა უნამუსო ადამიანების მიერ გაბრიყვებული, გზა დაბნეული მეზობელი სასჯელში ჩეგდო და გული სოფლის ერთგულის, სიმართლისათვის თავდადებულის ივანეს უზომო პატივისცემით აევსო. როცა უფროსი ხელის კანკალით სიფრთხილით უსინჯავდა ჭრილობას ივანეს, იმისი ცოლი საშინლად იწუწებოდა და ხალხს არღვევდა ამ სიტყვებით: „გამიშვით, ცოცხალი მაინც მაჩვენეთ, ულმერთონო.“ ცოლი გაფითრებული შედგა ივანესთან.

— ხომ გითხარი, ჩემო დამღუპველო, მოშორდი, თავს ნუ შეაკლავ ულმერთო კაცებს-თქვა, სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მან და გულშემოყრილმა ჩაიხოჭა ქმრის გვერდით.

უფროსი ამშვიდებდა საცოდავს, მაგრამ უიმედო ხმა, რომლითაც ის ელაპარაკებოდა, იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ივანეს მობრუნების იმედი არც იმასა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ექიმთან აფრინა კაცი, ყრილობა დაითხოვა, არჩევანები სასხომანდლოდ გადადო და წესიერების დამრღვევთ ოქმი შეუყენა, თითონ-კი სამაზრო ქალაქისაკენ გაქანდა. ივანე მეზობლებმა სახლში გადაიყვანეს. არჩევანების ციებ-ცხელებით შეპყრობილი სოფელი დამშვიდდა; ყველა დარწმუნებულია, რომ ძველ მამასახლისმა საქმე წააგო და მხოლოდ ორი რამ-ღა ჰქონდათ გამოსაცნობი: გადურჩება ივანე ჭრილობას, თუ ვერა და, რომ გადურჩეს, რას უზამს ძველი მამასახლისი, რომელიც ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, ყრილობაში წესიერების დარღვევა ივანეს მოახვიოს თავზედაო.

შუბნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ხელ-ჯოხიანებით და ქუჩები შეუკრავსო. გლეხები კი იმუდარებოდნენ, იწყევლებოდნენ, ფიცულობდნენ, ქალაქში აღარ შემოვალთო.

აი ამ გვარის ვაი-ვაგლახით მობოჭილ ფულებს ჰფლანგავენ ჩვენი ხმოსნები და უადგილო გულ-უხვობას იჩენენ ამ ფულების დარიგებაში.

ამ გვარი გულ-უხვობის შედეგია, რომ ქალაქის ამ წლის ხარჯი თითქმის ოცი ათასის მანეთით აღემატება მოსალოდნელს შემოსავალს. რადგან საფიქრებელი შეიქმნა, რომ საგუბერნიო საკრებულო არ დაამტკიცებდა ამ ნაირს ხარჯთ-აღრიცხვას, საბჭომ შემოსავლის აღრიცხვაში განზრახ გააზვიადა რაოდენობა ძველის „ნედოიმკების“ ასაღებად მოსალოდნელის წილისა, რათა ამ ხერხით დეფიციტი დაეფარა. გამგეობა მის მიერ წარმოდგენილ მოსალოდნელ შემოსავლის აღრიცხვაში ამბობდა, შეიძლება წელს ძველის „ნედოიმკების“ ერთი მესამედი ($33^{1}/_{3}\%$) ავიღოთო, საბჭომ-კი ეს მესამედი ნახევრად აქცია, და თვის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში შეიტანა, წელს ძველის ნედოიმკების 50% ავიღებთო, თუმცა მთელმა საბჭომ საერთოდ და თვითოეულმა ხმოსანმა კერძოდ კარგად იციან, რომ არა თუ ნახევრის, მესამედის აღებაც-კი გასაჭირი იქნება, მით უფრო, რომ ამ ორის უკანასკნელი წლის განმავლობაში „ნედოიმკების მომბოჭველი აგენტები გამგეობისა, როგორც ყველამ უწყის, მეტად გულ-მოდგინედ ეკიდებოდნენ „ნედოიმკების“ მობოჭვის საქმეს და რისიც აღება-კი შესაძლებელი იყო, უკვე აიღეს, ისე რომ ახლა უფრო ისეთი „ნედოიმკები“ დარჩა, რომლის აღებაც ბევრად უფრო ძნელია.

ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ ეს ხარჯთ-აღრიცხვა ამ სახით არ იქნება დამტკიცებული და უკანვე დაუბრუნდება საბჭოს გადასახედავად. იქნება, ღმერთმა ჰქმნას, ხმოსნებიც უფრო ჩახვდნენ თავიანთ საქციელს და უფრო გულ-მოჭირნედ მოეკიდნენ ქალაქის მცირე შეძლებას.

◆

რუსეთი

—

12 მარტს, როგორც სწერენ პეტერბურგის გაზეთები, საშინელი დრამა მომხდარა პეტერბურგში. ერთს ქუჩაზედ სჭერია სახლი და მდგარა მეეტლე ანაშინი, კაცი ზორბა და მოხდენილის სახისა. ამ კაცთან დადიოდა ეტლით ვიღაც ქალი, რომელსაც ისე ჰქონდა მობურვილი წამოსასხამი, რომ ძნელი გასარჩევი იყო მისი სახე. ზემოხსენებულს დღეს, როცა ეს ქალი კვლავ მისულიყო მეეტლესთან, შემოსმოდა იქიდამ კვნესა თევდორესი, იმ მეეტლესი. ამავე დროს გამოვარდნილიყო იმის სახლიდამ გულ-გახეთქილი ქალი, სისხლში მოსვრილის ხელთათმანითა, ჩამჯდარიყო ეტლში და წასულიყო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მეეტლე ანაშინი „კუჩრად“ მდგარიყო ერთს ვაჭარ კ—თან და იქიდამ ბოლოს დროს სხვა ალაგზედ დამდგარიყო. ის ქალი, რომელიც იმასთან დადიოდა აღმოჩნდა ვაჭარ კ—ს ცოლი. მეეტლე იქნება 35 წლის კაცი, დიდხანს პეტერბურგში ნამყოფი, ხოლო ქალი რამდენისამე წლით იმაზედ უფროსი. ბოლო ხანებში მეეტლეს წერილები მიეწერა თავის ნათესავებისათვის, აგრეთვე ცოლშვილისათვისაც სოფელში. წერილები ისეთის კილოთი დაეწერინებინა მეზობელ ყმაწვილისათვის (თვითონ წერა-კითხვა არ სცოდნოდა) თითქო საუკუნოდ ეთხოვებაო. თავის სურათებზედაც, რომელიც ნათესავთათვის გასაგზავნად გადაეღო, ისეთი სიტყვები წაეწერა, რომ, ეტყობოდა, თავის მოკვლა განეზრახა. და აი იმ დღეს, 12 მარტს, მისულიყო თუ არა ეს ქალი, ესროლა, მისთვის რევოლვერი და ყბაში დაეჭრა სუბუქად, მერე თვითონ დაერტყა რევოლვერი საფეთქელში და იმდენი ღონე კიდევ შერჩენოდა, რომ მეორედ ესროლნა ქალისათვისაც და შუბლში დაეჭრა სუბუქადვე. როცა ქალს ჰკითხეს, რა იყო, რა მიზეზით დადიოდით მეეტლესთანაო, მან სთქვა, რომ სამსახურიდამ დავითხოვეთ, მაგრამ იძულებული ვიყავ მეარნა, რადგან მემუქრებოდა, გამოვაშკარავებ, რა დაახლოვებულიც იყავი ჩემთანაო, თუმცა მე იმასთან არავითარი კავშირი არა მქონდაო. მძიმედ დაჭრილი მეეტლე სამკურნალოში გარდაიცვალა მეორე დღესვე. სიკვდილ წინად პატარა ხანს მოვიდა გონს, მაგრამ არა სთქვა მიზეზი თავის საქციელისა. მე მოვკალი ის ქალი, მერე მეც დავიჭერი თავიო. აღარ შეიძლებოდა დაერწმუნებინათ, რომ ის ქალი ცოცხალი გადარჩა, რადგან მალე დაჰკარგა ისევ ცნობა და გარდაიცვალა. ამ სახით ამ საშინელის დრამისა და რომანისა, რიგიანად ვერა გამოირკვა-რა.

—

კარგი აზრი მოსვლიათ მოსკოვის ნაფიც მსაჯულთა. ამათ უთხოვნიათ ერთის თავის ამხანაგისათვის, პროფ. დუხოვსკოისათვის, განუცხადეთ სასამართლოს შემდეგიო: წარსულის სესიის განმავლობაში ის აზრი დავასკვენით, რომ უმრავლესობა იმ დანაშაულობათა გამოწვეულია მით, რომ ჩვენში არ არსებობს იმათთვის მზრუნველნი დაწესებულებანი, რომელნიც ვადას ათავებენ ციხე-საპატიმროებში ყოფნისას, გამოდიან იქიდამ და არავითარი სახსარი ბ ღონისძიება არა აქვთ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. ამ აზრით, ჩვენ გადავსწყვიტეთ ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მან ასეთ დაწესებულებათა დაარსება იზრუნოს; ჩვენ შევადგენთ პროექტს, წარუდგენთ მთავრობას, ხოლო სასამართლოს ვთხოვთ, დაგვეხმაროსო. სასამართლო თანაგრძნობით მოჰკიდებია ამ საქმეს, რომელსაც განიხილავს ერთ-ერთს თავის საზოგადო კრებაზედ.

—

სიმცირე და ნაკლებობა მოსავლისა ადვილად მოსალოდნელია ყველგან. ამიტომ თანაგრძნობის ღირსია ის დაწესებულება, რომელიც ცდილობს წინდაწინვე იზრუნოს, რომ მოსავლის სიმცირისა და ნაკლებობისაგან გამოწვეული უბედურება თავიდამ აცილოს ერს, მხვნელ-მთესველს და საზოგადოდ გლეხ-კაცობას. ასე მოქცეულა სწორედ კიშინიოვის ერობა, ,,Новор. Телег.‘‘-ი იუწყება,

რომ სიცივეებმა დააზრო ბევრგან ბესარაბიაში ნათესებიო, ბევრგან კიდევ თბილის ზამთრისა და უთოვლობის გამო დალპა ნახნავში თესლიო. ამის გამო საგუბერნიო საერობო გამგეობა ეხლავე სცდილობს შეავსებინოს ხალხს მაღაზიები პურითა. ამას წინად ვწერდით, რომ კიშინიოვის მაზრაში დარჩენილს გადასახადებს იშორებენ გლეხკაცნი და მაღაზიებსაც უბრუნებენ სესხსაო, მაგრამ, ვგონებთ, ამისთანა მაზრა ბევრი არ არის. სხვა საერობო გამგეობათაგან მოდის ამბავი, რომ პურის სესხს ძალიან ნაკლებად აბრუნებენ, ძალიან მცირედნი იხდიანო. ამის გამო, საგუბერნიო გამგეობა აგერ მესამედა სწერს სამაზრო გამგეობათა, დააჩქარეთ, რომ სესხნი მალე დააბრუნონო. ამ ჟამად შინაგან საქმეთა მინისტრისაგან უკვე მეორე ცირკულიარი მოვიდა, ყოვლად საჭიროა, რომ, რაც შეიძლება ეცადოთ, პურის მაღაზიებში მაინც შეაგროვოთ და იქონიოთ პური ყოველ შემთხვევისათვისაო.

საუბედუროდ, იმავე გაზეთის სიტყვით, რაც პური ჰქონია გლეხ-კაცობას, სულ გაუყიდნია ხარჯისა და გადასახადის გასასტუმრებლად და თითონვე სხვაგან დაუწყვია ყიდვა პურისა.

◆

უცხოეთი

—

იტალია. დღეს დაიწყო მუშაობა მკურნალთა საერთა-შორისო კრებამ კრისპის თანადასწრებით. კრისპი დიდის თანაგრძნობით მიეგება კრებას, მთავრობისა და ერის სახელით. ქალაქის მოურავმა მოიწოდა რომი, ეს „კერა ძველებურის კულტურისა“, პატივი სცეს თავის სტუმრებს.

გენერალი გურკო დღეს სალამოს წავიდა მონტე-კარლოს თავის ამალით. იქ მისთვის დაქირავებულია მშვენიერი ვილლა სამის თვის ვადით. ახლა გენერალი უფრო უკეთ არის.

—

ავსტრი-უნგრეთი. განსვენებულ კოშუტის გამო პეშტში მომხდარ უწესოების შესახებ შემდეგი ცნობებია საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაბეჭდილი.

ჩვენ მიერ აწერილ პირველ უწესოების შემდეგ მეორე დღეს უფრო დიდი უწესოება მოხდა თურმე. შუადღემდე დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი დეპუტატთა პალატის წინ. რამდენმამე ყმაწვილმა კაცმა, ჟურნალისტმა და სტუდენტმა აღტაცებული სიტყვა წარმოსთქვა. ერთმა ნორჩმა სტუდენტმა წაიკითხა ლექსი: „Talpra Madyar!“ („გასწი წინ, უნგარო!“) პეტეფისა. ხალხი აღტაცებაში მოვიდა, აიყვანა ხელში ახალგაზდა სტუდენტი და დიდის ამბით ატარა. შემდეგ მემანიფესტაციენი მივიდნენ ყვირილითა და ხმაურობით საერო თეატრთან და დაიწყეს ძახილი: «დროშა, სამგლოვიარო დროშა აღმართეთო!» და თან ემუქრებოდნენ კიდეც. უმწვერვალეს მემარცხენეთა დასის, რომელსაც დეპუტატს რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყური არავინ უგდო.

ამასობაში პალატაში ამბავი მივიდა, რომ საერო თეატრის წინ დიდძალი საზოგადოებაა თავ-მოყრილიო. მინისტრ-პრეზიდენტმა ვეკერლემ სთხოვა დეპუტატს რაგონსკის, წადით და დააშვიდეთ, როგორმე ხალხიო. რაგონსკი მაშინვე წავიდა და ხალხს აცნობა, რომ სამინისტროს მეთაურმა ჰბრძანა სამგლოვიარო დროშა აღმართონ მარტო საერო თეატრზედ-კი არა, არამედ ოპერასა და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზედაო. ამ ამბავს ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. შემდეგ რაგონსკიმ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, გრძნობა პატივისცემისა „დიდებულ განსვენებულის მიმართ“. ვალად გვდებს წესიერება და დუმილი არ დავარღვიოთო. ამ სიტყვამ იმოქმედა და უმეტესობა ხალხისა დაიშალა. მაინც ბევრი ხალხი დარჩა, რომელნიც ამბობდნენ, ფეხს არ მოვიცვლით, ვიდრე დროშას არ აღმართავენო!“ მართლაც, რამდენსამე წუთს შემდეგ თეატრის თავზედ გაიშალა შავი, სამგლოვიარო დროშა. გაისმა ხანგრძლივი ტაშის ცემა და ძახილი: „ქუდები მოიხადეთ ამ დროშის წინაშეო“, რაც, რასაკვირველია, მაშინვე აღსრულებულ იქმნა.

შუადღის შემდეგ შეტაკება მოუხდათ პოლიციასა და ხალხს. ათასამდე კაცი შეიკრიბა ჟურნალისტთა კლუბის „ოტონის“ წინ და აგურებს ესროდა ამ კლუბის წინ გამწკრივებულ პოლიციელთა რაზმს. რამდენიმე ახალგაზდა ჟურნალისტი გამოვიდა აივანზედ და კიცხვა-გინება დაუწყეს პოლიციას. ამასობაში პოლიციის დასახმარებლად ჯარი მოეშველა, რომელმაც რამდენიმე ქუჩა და მოედანი დაიჭირა. მაგრამ აღელვება არ დაწყნარებულა, უფრო გაძლიერდა, როდესაც ხალხს შეატყობინეს, რომ ოპერის თეატრზედ აღმართული სამგლოვიარო დროშა ისევე ჩამოუშვიათო. საქმე იმაშია, რომ დეპუტატს რაგონსკის კარგად ვერ გაეგო მინისტრის ვეკერლეს სიტყვები. მინისტრმა უბრძანა დროშები აღმართონ ყველა საერო დაწესებულებათა შენობაზედაო და არა სამეფოზედ, ოპერის შენობა-კი სახელმწიფოს ეკუთვნის.

საღამოზედ ამის გამო რამდენიმე სამწუხარო სცენა მოხდა. კერებესის ქუჩაზედ ხალხმა გაზის ფარნები და სახლის ფანჯრები დაამტვრია. შეტაკებაც მოუხდა ხალხს ჯართან. დაჭრილია 40-მდე კაცი და 50 დააპატიმრეს.

საღამოზედ პოლიციის უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომ ქუჩებში თავის მოყრა აღკრძალულია, პროკლამაცია გამოსცა აგრეთვე ჟურნალისტთა კლუბმა, რომელიც ხალხსა სთხოვს დამშვიდებას და თავ-დაჭერით ყოფნას.

◆

არარატის მთა და ნოეს კიდობანი *)

(წერილი „Новое Время“-ს რედაქციის მიმართ)

ნება მომეცით თქვენის გაზეთის ფურცლებზედ გაგიზიაროთ ის შეშფოთება, რომელიც ამიტანს ხოლმე, როდესაც-კი წავიკითხავ, რომ ვითომ ნოეს კიდობანი დამდგარიყოს ჩვენს ამიერ-კავკასიის არარატზედ. ეს არის ეხლა წავიკითხე თქვენს გუშინდელს №-ში დაბეჭდილი საუცხოო ფელეტონი ბ-ნის ლეონტიევისა და უწინდელივე შეშფოთება ვიგრძენი.

ის „არარატის მთა“, რომელიც „დაბადებაშია“ მოხსენებული, რად უნდა იყოს სახელდობრ ამიერ-კავკასიის არარატი.

მოსეს პირველ წიგნის მე-VIII თავის მე-4 მუხლში ნათქვამია: „და დადგა კიდობანი თუესა მეშვიდესა ოც-და-შვიდსა მის თვისასა მთათა ზედა არარატისათა“.

შემდეგ, იმავე წიგნის მე-XI თავში, სადაც აღწერილია ნოაგის (ნოეს) შთამამავლობის გადმოსვლა არარატიდგან, მოთხრობილია: «და იყო სლვასა მათსა აღმოსავლით გამო პოვეს ველი ქუეყანასა სენარისასა (რუსულად долину въ землю Междурѣчной, ანუ, როგორც ბ-ნი გნედიჩი ამბობს, Шне-Негеръ-Мессопотамія) დაემკვიდრნენ მუნ.“

ეს როგორ მოხდა, რომ ამიერ-კავკასიიდგან დასავლეთისკენ წავიდნენ ერნი და მესსოპოტამიაში ამოჰყვეს თავი?

ეს გამოურკვევლობა ნათელი შეიქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ძველს ამიერ-კავკასიის არარატს ეწოდებოდა მაზისი და, რასაკვირველია, დაბადებაში ეს არარატი არ იგულისხმება თუ ამასთან გავიხსენებთ ობრის გამოკვლევას, რომელშიაც ნათქვამია, რომ უმაღლესს მწვერვალ ადგილს ტიბეტისას ძველად არარატი ეწოდებოდაო, დავრწმუნდებით, რომ წარღვნის შემდეგ კაცობრიობა გიმალაიდგან დაძრულა, როგორც ამას ერთხმად ამტკიცებენ ინდოთა ლეგენდები და მოსეს წიგნიც ეთანხმება.

◆

ბიბლიოგრაფია

—

„Тоб. Губ. Вѣд.“ იუწყება, რომ 11 თებერვალს საგუბერნიო სასამართლომ გაარჩია ფრიად საინტერესო საქმე მღვდლის კელცევისა, მოჯამაგირე დემიანენკოსი და გლეხთა ტუნგოროვისა და კარპოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მოკვლა დიაკვნის გიბედოსი. სასამართლომ ეს საქმე კარ-ჩაკეტილ დარბაზში გაარჩია და ასეთი განაჩენი გამოიტანა.

მღვდელი კელცევი, 29 წლისა, გლეხი დემინენკო, 23 წლისა, გლეხი ტუნგოროვი, 26 წლისა, ცნობილ იქმნან დამნაშავებად, რადგან წინდაწინვე ერთმანერთში მორიგებულან და 13 მაისს 1893 წელს მოუკლავთ დიაკვანი გიბედო, რომელიც შეუტყუებიათ სამზარეულოში, საცა მდგარა წყლით სავსე ბოჩკა და ამ ბოჩკაში დაუხრჩვიათ. ამისათვის აეხადოთ ყოველივე ღირსება და უფლებანი და გაიგზავნონ კატორგაში: მღვდელი კელცევი უვადოდ, ტუნგოროვი 15 წლით და დემიანენკო 10 წლით; გლეხ კარპოვს, 35 წლისას, რომელსაც დაუმალნია ეს კაცის-კვლა, ჩამოერთვას უფლებანი და გაიგზავნოს კატორგაში ათის წლით.

◆

ახირებული აკვიატება

(წერილი რედაქციის მიმართ)

სოფელ აკეთში დაარსებულ სახალხო წიგნთ-საცავის შესახებ, როგორც ჰხედავს მკითხველი, დიდი ჩოჩქოლი და აურზაური გვაქვს გურულებს. ჯერ იყო და ამ სვე უბედურის წიგნთ-საცავის დაარსებამდე ყურები გამოვუჭედეთ ქვეყანას თავმოყვარეობის გამო გამოწვეულის ეპისტოლეებითა. ბოლოს, როგორც იყო, მარჯვე მეთაურების წყალობით და ქვეყნის გულ-შემატკივართა მიერ გამოღებულის წვლილის შეოხებით წიგნთ-საცავი დაარსდა, დაფუძნდა და მოქმედება იწყო. ეხლა გაიძახიან აკეთი არ ვარგა წიგნთ-საცავისათვის, ხოლო ჩოხატაური-კი შეუდარებელი რამ არის ამ დაწესებულებისათვისო. სხვათა შორის ამავე აზრს მიემხრო ბ-ნი იგორ გოგიბერიძე, რომელმაც ჩემდა საპასუხოდ წერილი დაჰბეჭდა «ივერიის» მე-52 №-ში და თავის აზრის დასასაბუთებლად გვაუწყა, რომ ჩოხატაურში მომრიგებელი სასამართლოა, საავადმყოფო და აფთექაა, ბევრი ხალხი ეტანება ჩოხატაურს,

---

*) ეს პაწია მაგრამ საყურადღებო, წერილი დაბეჭდილია გაზ. „Новое Время“-ს ამა წლის 15 მარტის მე-6481 №-ში და ეკუთვნის რუსთა ცნობილს მწერალს პ. გნედიჩს.

რადგანაც დანოს-საჩივარში ვერავინ გვჯობს და ამიტომ წიგნთ-საცავიც უეჭველად ჩოხატაურს შეეფერებაო. ის დალოცვილი, ამ ძალუმის საბუთის დამწერი იმას-კი აღარ კითხულობს, თუ რა კავშირი აქვს ერთმანეთში წიგნთ საცავს ჵ გონებრივ ვარჯიშობით ჭკუის მწვრთვნელ მკითხველ საზოგადოებას ერთის მხრით ჵ დანოს-საჩივრებში გაწაფულ სასამართლოებში და პოლიციის ბოქაულთან მოწანწალე ხალხს მეორეს მხრით. რა საქმე აქვს წიგნთან და წიგნთ-საცავთან იმისთანა ღვთის ხატება და მსგავსება დაკარგულ ადამიანს, რომელსაც ჯიბე-უბე ნიადაგ დანოს-საჩივრით აქვს გამსებული და რომელიც თავის სიცოცხლეს მოძმისა და მოყვსის დევნასა და მტრობაში ატარებს! ასეთი „ღვთის პირიდამ გადავარდნილი“ ადამიანი წიგნს როგორ მოჰკიდებს ხელს და თუნდაც მოჰკიდოს კიდეც, იმის გაუკუღმართებულ გონება-ზნეობის გამოწოლმართება არავითარ სასწაულთ-მომქმედ ძალას აღარ შეუძლიან. აგრეთვე სულთ-მობრძავ ავადმყოფის ქირისუფალს, აფთიაქში წამლებისათვის მოსულს, წიგნებისაკენ წაეტანება ან გული ან ხელი!?

„აკეთლებს თავი მოსწონთ სამკითხველოს დაარსებით, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ არა ნაკლები შრომა მიუძღვით მაგ საქმეში სხვებსაც, როგორც მაგალითად ბ-ნი ი. რამიშვილს და სხ.“ გვეუბნება ბ-ნი გოგიბერიძე. აქედამ თითქო ის გამოდის, რომ წიგნთ-საცავის დაარსებისათვის შრომობდნენ ბ-ნი რამიშვილი და სხვები, მაგრამ ადგილის ამორჩევის შესახებ ბჭობა-თათბირში იმათ მონაწილეობა არ მიუღიათ და ამ ნაირად იმათ დაუკითხავად აიღეს აკეთლებმა და თავისთვის გაიმართეს წიგნთ-საცავიო.

თუ ამის თქმა უნდოდა ბ-ნ გოგიბერიძეს, ეს დიდი ბრალ-დებაა რამიშვილისათვის, რადგანაც მას (რამიშვილს) საქმე დაუწყია, თავი თავს მოუყვანია და ბოლოს განზე გასდგომია, რის გამოც ეს საზოგადო დაწესებულება აკეთლების კერძო დაწესებულებად გამხდარა. მაგრამ ნამდვილად ასე იყო ეს თუ არა? „ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ლაშქრობის ამბავს ეუბნებოდაო“, სწორედ ისე მოსდის ამ შემთხვევაში ჩემს პატივცემულ მოკამათეს. ამ საქმეს მეც, თქვენი უმორჩილესი მონა ახლო ვუდექი და ყოველი მისი ნაბიჯი კარგად ვიცი. აკეთში წიგნთ-საცავის გამართვა ამ კეთილის საქმის მეთაურთა საზოგადო სურვილმა და თანხმობამ გამოიწვია. ამ სურვილის წინააღმდეგი არც ბ-ნი რამიშვილი ყოფილა. აკეთლებმა იყიდეს წიგნთ-საცავისათვის სახლი, გადმოიტანეს და თავის ხარჯით შეაკეთეს, იკისრეს კურთხევის ხარჯი, რომელიც არა ნაკლებ ათის თუმნისა დაჯდა. აკეთში იყო მაშინ მასწავლებლად ყველასაგან პატივცემული არსენ წითლიძე, რომელმაც წიგნთ-საცავის მართვა და გაძღოლა უსასყიდლოდ იკისრა. აკეთშივე გამოჩნდნენ იმისთანა ახალგაზდები, რომელთაც ასზე მეტი წიგნი უსასყიდლოდ დაჰკაზმეს. ყოველსავე ამას გარდა, აკეთი შუაგული ადგილია გურიისათვის საფოსტო სადგურებზე და დაბა-ქალაქებზე დაშორებულ სოფლებით გარშემორტყმული და რატომ არ უნდა მიეცათ ამ საქმეში უპირატესობა! კურთხევაზე გურიის დაწინაურებულ საზოგადოების თითქმის ყველა წევრი დაესწრო და არავის არ უთქვამს, რომ წიგნთ საცავისათვის აკეთი უხერხული ალაგიაო. კარგია კარგი დაგემართოთ, რომ აკეთი ყველა სოფელში და დაბა-ქალაქში მისასვლელად საეტლე გზას გაიჩენდეს, ყველა „რობინზონკრუზოს“ მკითხველს ეტლსა და მეეტლეს დაუქირავებდეს, რომ წიგნთ-საცავში მობრძანება გაუადვილოს; მაგრამ ჯერ ქვეყანაზე ასეთი ამბავი არ მომხდარა და იმედია შეუძლებელს არც აკეთს მოსთხოვენ.

გული გულობდეს, წიგნის კითხვის სურვილი იყოს ოღონდ, თორემ აკეთი მთვარეზედ ხომ არ არის, რომ მისვლა-მოსვლა არ შეიძლებოდეს ამ სოფელში. თუ ასე მიყრუებული და მივარდნილი ადგილია აკეთი, რატომ არის, რომ ყველა წიგნი, რაც აქაურ წიგნთ-საცავში მოიპოვება, მკითხველ საზოგადოების ხელში ჰმოძრაობს და ტრიალებს. მობძანდით, ბატონო, გასინჯეთ კატალოგი, გადაათვალიერეთ ის დავთარიც, რომელშიაც წასაკითხად გაცემული წიგნები ინიშნება და დარწმუნდებით, ვინც სტყუის და ვინც მართალს ამბობს.

დასასრულ, გული არ გვითმენს არ შევნიშნოთ ბ-ნ იაგორ გოგიბერიძეს, რომ მან განჯიდამ აკეთის საწინააღმდეგოდ ჩოხატაურის დროშა-ალამთან ერთად კინაღამ ბასილეთის დროშა-ალამიც გამოჰფინა. ვითომ ჩოხატაურის დროშამ თუ არ გაიმარჯვა ბასილეთის დროშა უეჭველად გასჭრისო. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს, ასეთის ვიწრო ასპარეზიან დროშების ფრიალი! სამწუხაროა აგრეთვე ის გირემოებაც, როცა კაცმა არ იცის მსვლელობა იმ საქმისა, რომლის გამორკვევაც უკისრნია და მიუხედავად ამისა მაინც ცდილობს თავისი გაიყვანოს და თუ ეს ვერ მოუხერხდა, სიტყვის ბანზე აგდებას ხომ დიდი ხერხი და უნარი აღარ უნდა. სწორედ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ბ-ნი გოგიბერიძე, რომელიც აჰკვიატებია სხვის აზრს და ამ აკვიატებით ჯერ თითონ შესულა შეცდომაში და შემდეგ სხვების ჩათრევა მოუნდომნია ასეთსავე შეცდომაში. მაგრამ უნდა ვინუგეშოთ იმითი, რომ ასეთს აკვიატებას, ცუდის მეთევზის არ იყოს, უბრალოდ წყალთა მღვრევის მეტი არაფერი ცოდვა უნდა მოჰყვეს.

ლ. წულაძე

გამოსადეგი ცნობა

რომელი სართული უფრო სასარგებლოა ჰიგიენის მხრივ. ძლიერ გავრცელებულია ის აზრი, რომ ყველაზედ უკეთესი სადგომად შუა სართულია სახლისა. ზოგიერთი ჰიგიენისტები ამ აზრისანი არიან, მაგრამ მაინც ეს აზრი უსაფუძვლოა. ყველაზედ უკეთესი ჯან-მრთელობისათვის ზემო სართულია სახლისა, რომელიც წინამხარესა დგას და არა შიგნით.

1) ზემო სართული—უფრო მოსვენებულია, ქუჩის ღრიანცელს მოშორებულია და ღამ-ღამეც ზემოდგან არაფრის რახარუხი არ აწუხებს მდგმურებს.

2) ზემო სართული უფრო ნათელია, მზე პირდაპირ აშუქებს, მაშინ როდესაც შუა და ქვემო სართულებს მზის შუქი მეორე მხრის შენობიდგან ადგება და ამით დიდად განსხვავდება ზემო სართული დანარჩენებისაგან.

3) ზემო სართული ყველა სართულზე ნაკლებად ჭნოტიანდება და თუმცა ზემოთამდინაც ადის უსუფთაო ჰაერი და მტვერი, მაგრამ მაინც უფრო იწმინდება ჰაერი, ვიდრე ზევით ავა, და მტვერიც უფრო ნაკლებად ხვდება. შუა სართულებზე-კი ორ ცეცხლ შუა—რაც ცუდის, ზევიდგანაც ხვდება და ქვემო სართულიდგანაც.

4) ზემო სართულში, რადგანაც სინოტივე იშვიათია, რასაკვირველია, ჰაერიც უკეთესია. არც მტვერი შედის ქუჩიდგან ადვილად და არც ოშხივარი ადის ნოტიო ამინდის დროს.

თუმცა ეს უპირატესობანი ზემო სართულისა დავასახელეთ, მაგრამ მაინც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ზემო სართულს ერთი დიდი ნაკლი აქვს. ამ სართულში ცხოვრებას უნდა ერიდნენ გულითა და დედაკაცურის ავადმყოფობით სნეულნი, მეტადრე თუ იგი მეოთხე ან მეხუთე სართულია.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნს პარასკევა სამსონის ასულს ქავთარაძისას, რომელმაც მდგომარე $18^{93}/_{94}$ წლის დასაწყისში შეაგროვა ჩემდა სასარგებლოდ პატივცემულ ფოთის საზოგადოებაში ას რვა (108) მან. და დანიშნულებისამებრ გადმომცა რუსეთში წასვლის ხანს. ხოლო მისი ქველმოქმედება ამითი არ დასრულებულა: ის დღესაც რამოდენიმე პირთა დახმარებით მიგზავნის თვეში ოც-მანეთს 1-ლი ნოემბრიდან დაწყებული.

სტუდენტი ნიკოლოოზ ელიავა
მოსკოვი
14 მარტი 94 წ.

დრამატიულ საზოგადოების მმართველობას

წარსულს წელს სექტემბერში ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრებაზედ წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში 1892-1893 წლის მოქმედებისა ციფირებითა და მასთან წერილით ვრცელი მოხსენება, რომელიც შეიცავდა ბევრს საინტერესო ცნობასა. დღევანდლამდე არ არის დაბეჭდილი. ბევრს წევრს საზოგადოებისას, ვინც-კი არ დასწრებია კრების სხდომას რაიმე მიზეზით, ან ქალაქში არა ცხოვრებს, არავითარი ცნობა არა აქვს დრ. საზოგადოების მოქმედების შესახებ. საჭიროა ახლა მაინც დაიბეჭდოს, რადგანაც ახლო ხანებში, როგორც გვესმის, საზოგადო კრება იქნება მოწვეული.

უმორჩილესად ვთხოვ დრ. საზ. მმართველობას განკარგულება მოახდინოს ამ საქმისათვის და „ივერიაში“ დაბეჭდინოს ის ანგარიშიც და მოხსენებაც.

22 მარტს. წევრი დრამატ. საზოგადოებისა.

დეპეშა

22 მარტი

პეტერბურგი. ვიტებსკის გუბერნატორი, თავადი დოლგორუკოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო; ვიტებსკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ვლადიმირსკის ვიცე-გუბერნატორი ლევაშოვი.

ვენა. თათბირი ჰქონდათ აქაურ მრეწველთა საუკეთესო წარმომადგენელთ იმის შესახებ, რომ რუსეთთან საქმიანი დამოკიდებულება გაჰმართოს. კრებამ დაადგინა: სავაჭრო მუზეის საკომერციო ბიუროს თავმჯდომარე ბრები გაიგზავნოს რუსეთში რამდენისამე კვირით იმად, რომ ნამდვილი ცნობები შეჰკრიბოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილების სავაჭრო მდგომარეობის კერძო ბაზართა შესახებაო.

„Frenmdeblatt“-ი მეთაურს წერილში დიდ მნიშვნელოვანადა სთვლის რუსეთის ეკონომიურად დიდს სახელმწიფოებთან დაახლოვების ამბავს და ამბობს, რომ ამ საქმეს დიდად ნაყოფიერი შედეგი ექმნება ხელშეკრულობის ყველა მონაწილესათვისაო.

23 მარტი

პეტერბურგი. შიდა რუსეთიდამ ფინლანდიაში შემოსატან ფქვილის ხარჯის შემცირების თაობაზე აღიძრა ბაასი.

დღეს გაიხსნა განსაკუთრებული კრება საერთაშორისო საბჭოსი შესახებ იმისა, რომ რკინის გზებზედ საქონლის გადატან-გადმოტანის ფასები წესსა და რიგში მოიყვანონ; კრებაში უცხო სახელმწიფოების 25 წარმომადგენლს აქვს მონაწილეობა.

საფინანსო სამინისტრომ დაასრულა სათადარიგო შრომა ისპანიასა და პორტუგალიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

ბელგრადი. სიმიჩის კაბინეტი სამსახურიდამ გამოვიდა, შესდგა ახალი კაბინეტი. მთავარ-მინისტრი და შინაგან საქმეთა სვეტომირ ნიკოლევიჩია.

ბერლინი. გაზ. Koelnische Zeitung-ი სწერს, რომ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობის გამო, გერმანიის კანცლერს გრაფ კაპრივის რუსეთის იმპერატორისაგან ებოძა ბრილიანტის ნიშნები წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენისა, სტატს-სეკრეტარს ბარონ მარშალს—წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი და ელჩს ტილმანს—თეთრის არწივისა.

პარიზი. ვიშიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ ფრანგ-რუსთა გუშინდელმა დღესასწაულმა ჩინებულად ჩაიარა; საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ვიშის მცხოვრებლებმა ყველამ ერთობით ხელი მოაწერა ხელმწიფის მისართმევ ადრესს. ბრინჯაოსგან გაკეთებული ნივთი, რომელიც უნდა ხელმწიფეს მიართვან ქალაქის სახელობით, გუშინ საღამოს გამოფენილი იყო ბაირაღებით მორთულს ქალაქის სახლის მოედანზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მარტი.

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გაყიდ-ულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,₄₅	7¹/₂	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149	— ,,	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	243
—მეორისა	221¹/₄	— ,,	— ,,
4⁰/₀ მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	192³/₄
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6⁰/₀	101⁵/₈	— ,,	— ,,
5⁰/₀	98¹/₂	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკის 6⁰/₀.	101⁵/₈	— ,,	— ,,
5⁰/₀.	98¹/₈	— ,,	— ,,
5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98¹/₄	— ,,	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და ხიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ბალახეულის კარამელი
ხველების წამალი
„პექტო ბონს“
ბ. სუმადენისა, კიევში
უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ. Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.
ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.
M. (20—17)

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე